ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 6558/01
01/07/2019

6558-01-2-201907011451

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი"

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ

თქვენს მიერ 2019 წლის 30 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, „მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან" დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:

- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი ნამწვი აირების მილების სიმაღლე;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ქ. ქობულეთისთვის (ანგარიშში განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხი მხოლოდ ქ. ბათუმისათვის);
- დასაზუსტებელია საწარმოს მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი (გაბნევის) ანგარიში;
- დასაზუსტებელია ობიექტის წყალმომარაგების სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- არ არის მოცემული ობიექტის გენ.გეგმა ექსპლიკაციით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

მინისტრის მოადგილე